დაცვითი ტექნიკური საშუალებით დაცვის, დაპროექტების ,მონტაჟისა და ექსპლოატაციის ხელშეკრულება № 4507

ქ. თბილისი 01 აგვისტო 2023 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის 198 საჯარო სკოლა (ს/კ 202887778) (შემდგომში „დამკვეთად" წოდებული) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეონა ყაჭეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ორბი" (შემდგომში „შემსრულებლად" წოდებული), მისი დირექტორის ზურაბ კვირიკაშვილის სახით, ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. დაცვითი საქმიანობის სახეობა

დაცვითი საქმიანობის სახეს წარმოადგენს დაცვითი ტექნიკური საშუალებით მომსახურება.

მუხლი 2. ხელშეკრულების არსი და პირობები

2.1. „შემსრულებელი" უზრუნველყოფს ობიექტის, ქალაქ თბილისის 198 საჯარო სკოლის დაცვას დაცვითი ტექნიკური საშუალების მეშვეობით (შემდგომში „ობიექტად" წოდებული). **CPV - 79713000**

2.2. „ობიექტის" დაცვა განხორციელდება „დამკვეთის" მიერ („ობიექტის") დაცვითი ტექნიკური საშუალებით-ჩაბარებისა და „შემსრულებლის" მიერ ობიექტის დაცვაზე აყვანის შემდეგ.

მუხლი 3. ობიექტის დასახელება და მისამართი

3.1. ობიექტის დასახელება და დამატებითი ინფორმაცია: ქალაქ თბილისის 198 საჯარო სკოლა.

3.2. ობიექტის მისამართი: ქ.თბილისი, შარტავას ქ.N20

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და მისი გადახდის წესი

4.1 დაცვის მომსახურების ერთი თვის ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.2. სულ სახელშეკრულებო თანხა 5 თვის შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის მოხდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს, ან თვის დასრულებიდან 5 რიცხვამდე, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით,

4.4. 4.3 პუნქტის საფუძველზე თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში დაცვითი ტექნიკური საშულებით ჩართული ობიექტი გაითიშება შემსრულებლის სურვილისამებრ და დაცვაზე ობიექტი არ ჩაირთვება, სანამ არ მოხდება დავალიანების დაფარვა. დავალიანების დაფარვის შემდგომ ობიექტი ჩაირთვება.

4.5. დავალიანების დროს დამკვეთის ობიექტზე რაიმე არასანქცირებული შეღწევის, ქურდობის ან დატაცების და მატერიალური ფასეულობების ზარალის მიყენების შემთხვევაში შემსრულებელი შპს „ორბი" ვალდებულებას არ იღებს და პასუხს არ აგებს მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე .

4.6. დამკვეთის მომსახურეობის თანხის გადაუხდელობის გამო, დაცვაზე გათიშული ობიექტის ანაზღაურება არ გამოაკლდება ხელშეკრულებაში განსაზღვრულ გადასახადს.

4.7. დამკვეთი ვალდებულია მომსახურეობის თანხა გადაიხადოს სრულად ხელშეკრულებაში განსაზღვრული თანხის ოდენობით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები

5.1. **შემსრულებელი უფლებამოსილია :**

5.1.1. მოსთხოვოს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდა ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად;

5.1.2. მოსთხოვოს დამკვეთს ხელშეკულების შეწყვეტის შემთხვევაში „ობიექტზე" დამონტაჟებული დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტით განსზღვრული დროებით სარგებლობაში გადაცემული ტექნიკური აღჭურვილობის იმავე მდგომარეობაში დაბრუნება, რა მდგომარეობაშიც გადასცა შემსრულებელმა;

5.1.3. მოსთხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების ჯეროვნად შესრულება;

5.1.4. შემსრულებელი ახორციელებს შენობის შესასვლელის დაცვას და არ იღებს პასუხისმგებლობას შენობის სარდაფიდან ან ფანჯრებიდან შენობაში შეღწევის შემთხვევაში მიყენებულ ზიანზე.

5.2. **"შემსრულებელი" ვალდებულია:**

5.2.1. დაცვითი ტექნიკური საშუალებით განგაშის მიღებიდან დღე-ღამის განმავლობაში 7 (შვიდი) წუთიდან 8 (რვა) წუთში მოახდინოს ობიექტზე გამოცხადება სათანადო ღონისძიების გატარების მიზნით.

5.2.1.[1] დაცვის ობიექტზე ნებისმიერი სახის არასანქცირებული შეღწევის შემთხვევაში, რომელიც გრძელდებოდა არაუმეტეს 5.2.1. ქვეპუნქტში მითითებული დროისა, შემსრულებელს ეხსნება როგორც ფინანსური, ასევე, ხელშეკრულების დარღვევის პასუხისმგებლობა.

5.2.2. „ობიექტზე" აღმოჩენილი დარღვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს „დამკვეთს" და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა.

5.2.3. სიგნალის „განგაშის" მიღებისას ობიექტის გასახსნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე, ობიექტის ხელმეორედ დაცვაზე ასაყვანად – გამოიძახოს „დამკვეთი" ან ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი.

5.2.4. არ მიიღოს „ობიექტი" დაცვაში თუ შეიქმნა პირობები, რომლის გამოც, „შემსრულებლისაგან" დამოუკიდებელი მიზეზებით, არ ხერხდება დაცვაში აყვანა, რაზედაც „დამკვეთს" ეცნობება წინასწარ.

5.2.5. იკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია „შემსრულებლის" ვალდებულებების შეუსრულებლობამ და აღნიშნული დასტურდება უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით.

5.2.6. „შემსრულებელი" პასუხს არ აგებს ობიექტზე განთავსებულ ფულად ნიშნებზე.

5.3. **დამკვეთი უფლებამოსილია:**

5.3.1. მოსთხოვოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

5.4. **"დამკვეთი" ვალდებულია:**

5.4.1. „ობიექტის" დაცვაზე მიღება-ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს პასუხისმგებელი პირი და გადასცეს მას დაცვითი ტექნიკური საშუალებით სარგებლობის ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება, რომელსაც შეეძლება შემსრულებელთან დაკავშირება ქალაქის და მობილურ შემდეგ ნომრებზე: 574 60 60 60; 574 06 06 06.

5.4.2. განგაშის შემთხვევაში „შემსრულებელს" მისცეს დასაცავი „ობიექტის" გახსნისა და დათვალიერების საშუალება.

5.4.3. უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, ობიექტზე მინიჭებული პირობითი ნომერი.

5.4.4. დაცვითი ტექნიკური საშუალების გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ „შემსრულებელს", დაელოდოს „შემსრულებლის" წარმომადგენლის გამოცხადებას და ნაკლოვანებების აღმოფხვრას.

5.4.5. სამუშაო დღის დამთავრებისას დარწმუნდეს, რომ ობიექტზე არ იმყოფებიან გარეშე პირები, გამორთულია ელექტროხელსაწყოები და ხანძრის სხვა წყაროები (ხანძრის შემთხვევაში „შემსრულებელი" პასუხისმგებლობას არ იღებს. კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ კანონი არ ითვალისწინებს სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას).

5.4.6. დამკვეთი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ ობიექტი ნამდვილად აყვანილია დაცვაზე და დაელოდოს შესაბამის შეტყობინებას დამკვეთის მიერ წინასწარ მითითებულ მობილურ ტელეფონზე sms შეტყობინებით, ობიექტის დაკეტვის თაობაზე.

5.4.7. თუ დამკვეთი დასაცავი ობიექტის დაკეტვის და დაცვის პულტზე აყვანის შემდგომ არ მიიღებს sms შეტყობინებას სავალდებულოა შემსრულებელთან დაკავშირება, ხოლო თუ არ მოხდება შემსრულებელთან დაკავშირება ითვლება, რომ ობიექტი არ არის აყვანილი დაცვის დაცვითი ტექნიკური საშუალებით. შპს "ორბი" პასუხისმგებლობას არ კისრულობს ჩაუბარებელ ობიექტზე განთავსებულ მატერიალური ფასეულობების დაცვაზე.

5.4.8. დამკვეთი ვალდებულია ობიექტზე დამონტაჟებული ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოს მუდმივად ელ.ენერგიის მიწოდებით. შემსრულებელი იხსნის პასუხიმგებლობას იმ შემთხვევაში როდესაც ობიექტზე ელ.ენერგია გაითიშება 3 სთ-ზე მეტი დროით. რადგან, შემსრულებლის ტექნიკური აღჭურვილობა ელ.ენერგიის გათიშვის შემთხვევაში ავტომატურად ირთვება ალტერნატიულ ელ.ენერგიაზე, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება მაქსიმუმ 3 სთ-ით. ხოლო თუ, დამკვეთი გამოთქვამს სურვილს საკუთარი ხარჯით შეიძინოს უფრო ძლიერი სიმძლავრის ტექნიკური აღჭურვილობა შემსრულებელი უზრუნველყოფს აღნიშნული აპარატურის მონტაჟსა და ინსტალაციას.

5.4.9. წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული დაცვითი ტექნიკური საშუალების მოწყობილობა (რომელიც წარმოადგენს „შემსრულებლის" საკუთრებას და დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ არის გადაცემული „დამკვეთი"-სთვის) განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში 5 სამუშაო დღის განმავლობაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, განსაზღვრული დაცვითი ტექნიკური საშუალებით სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის „გ" პუნქტით.

5.4.10. არ დაუშვას „შემსრულებლის" მიერ დამონტაჟებული დაცვითი ტექნიკური საშუალების გადაკეთება ან შეკეთება „შემსრულებლის" წარმომადგენლის გარეშე, ასევე, არ დაუშვას დამონტაჟებულ დაცვით ტექნიკურ საშუალებაზე რაიმე ნივთით ხილვადობის შეფერხება, რაც ხელს შეუშლის სიგნალიზაციის გამართულ მუშაობას.

5.4.11. აიღოს სრული მატერიალური პასუხისმგებლობა შემსრულებლის კუთვნილ და მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობის შენახვასა და დამკვეთის მიერ გაუფრთხილებლობით დაზიანების დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსრულებელი უფლებამოსილია დამკვეთისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება დამონტაჟებული და დაზიანებული ტექნიკის ღირებულების სახით.

5.4.12. რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსრულებელს".

მუხლი 6. ხარჯების ანაზღაურების წესი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, "შემსრულებელი" დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ გადასცემს „დამკვეთს" ობიექტის დაცვისათვის საჭირო დაცვის დაცვითი ტექნიკური საშუალების სისტემას და უზრუნველყოფს მის მონტაჟ-ინსტალაციას, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ შემსრულებელი ხსნის თავის კუთვნილ ტექნიკურ აღჭურვილობას.

6.2. დამკვეთის საკუთრებაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობის დაზიანების/განადგურების შემთხვევაში, შემსრულებელი მოახდენს მის შეცვლას და გადასცემს დამკვეთს დროებით სარგებლობაში, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ შემსრულებელი ხსნის თავის კუთვნილ ტექნიკურ აღჭურვილობას.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება და რაც დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულების მომსახურების ვადა ძალაში შედის 2023 წლის 01 აგვისტოდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2023 01 აგვისტოდან 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

8.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე 2 (ორი) კვირით ადრე, მხარეთა მიერ ხელშეკრულების გაწყვეტაზე წერილობითი შეტყობინების არ არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება განუსაზღვრელი ვადით.

8.3. დამკვეთის ინიციატივით ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მისი ძალაში შესვლიდან არანაკლებ 3 (სამი) თვის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახელშეკრულებო თანხა სრულად.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება წყდება შემდეგ შემთხვევაში:

8.4.1. ცალმხრივად წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

8.4.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.5. "შემსრულებელი" იტოვებს უფლებას 4.3 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.6. თუ, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დამკვეთს შემსრულებელთან გაწყვეტილი აქვს სატელეფონო თუ სხვა საკომუნიკაციო კავშირი, რაც უშლის ხელს შემსრულებლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, შემსრულებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება დამკვეთისათვის ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გარეშე.

8.7. წინამდებარე ხელშეკრულების ორმხრივად შეწყვეტის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, „შემსრულებელი" უფლებამოსილია დამკვეთის მიერ ხელშკრულების ცალმხრივად თვითნებურად, სხვა ალტერნატიულ მომსახურებაზე გადასვლის შემთხვევაში 8.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში

დამკვეთისაგან შემსრულებელმა მოითხოვოს დაუყოვნებლივ დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის მთლიანი ანაზღაურება.

მუხლი 9. სადავო საკითხების განხილვა

9.1. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავა და უთანხმოება გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

9.2. ურთიერთმოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს ან განახორციელონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ქმედება დავის განხილვის მიზნით, მათ შორის: დაცვითი ორგანიზაცია უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროს“ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების მიღების მიზნით (გამარტივებული წარმოება).

9.3. ამასთან, სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაცვითი ორგანიზაციის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების სხვა პირობები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მხარეთა მიერ შედგენილი დაცვითი ტექნიკური საშუალებების სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი და ობიექტის დაცვის მომსახურეობის გეგმა.

10.2. დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ერთი თვის სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „შემსრულებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3. შემსრულებელი დამკვეთს ან მესამე პირს საჭიროებისამებრ წარუდგენს შესრულებული სამუშაოს შესახებ ყოველთვიურად ან ყოველწლიურად შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს მიღება-ჩაბარების აქტით ან სხვა ფორმით. ანგარიშის წარუდგენლობა არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულების 4.3. პუნქტით განსაზღვულ ვადაში 4.1 პუნქტში მითითებული მომსახურების გადასახადის გადახდის შეფერხების ან გადაუხდელობის საფუძველი და არ გამოიწვევს მომსახურების საფასურის გადავადებას ან შეჩერებას.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

10.5. „შემსრულებელი" პასუხს არ აგებს „ობიექტი"-ს გარე ფასადის და ვიტრინის დაზიანებაზე, პასუხს არ აგებს „ობიექტი"-დან 5.2.1 პუნქტში მითითებულ დროში გამოცხადების შემთხვევაში დატაცებულ ფასეულობაზე და ასევე დასაცავი ობიექტის ტერიტორიის გარეთ დარჩენილ მატერიალურ ფასეულობებზე.

10.6. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით.

10.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება „დამკვეთთან", ხოლო მეორე „შემსრულებელთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

"შემსრულებელი"	"დამკვეთი"
შპს "ორბი"	სსიპ - ქალაქ თბილისის 198 საჯარო სკოლა
იურ. მის: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის 198	იურ. მის: თბილისი, შარტავას ქ. 20
ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N107	ტელ: 577473440; 568501419;
	ფაქტ. მის: თბილისი, შარტავას ქ. 20
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი	
ა/ნ GE40BG0000000902694700, კოდი BAGAGE22	საიდენტიფიკაციო კოდი: 202887778
საიდენტ. კოდი 202455066	
დირექტორი: ზურაბ კვირიკაშვილი	დირექტორი: თეონა ყაჭეიშვილი
Zurab Kvirikashvili 56001003178 Digitally signed by Zurab Kvirikashvili Date: 2023.08.02 11:31:10 /ზ.კვირიკაშვილი/	_____/თ. ყაჭეიშვილი/

ობიექტის დაცვის მომსახურების გეგმა

მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. 20, 198 საჯარო სკოლა (განთავსებულ მატერიალური ფასეულობების) დაცვას ახორციელებს შპს „ორბი'' თავისი კუთვნილი დაცვითი ტექნიკური საშუალებებით შიდა პერიმეტრზე და დახურულ სივრცეში 1 ინფორმაციის გადამცემი ტექნიკური საშუალების, 1 სათავსო ყუთის, 1 კვების ბლოკის, 1 სირენის, 1 დამატებითი კვების წყარო აკუმულატორის, 7 მოძრაობის დეტექტორის მეშვეობით.

მიღებული შეტყობინება გადაეცემა შპს „ორბი''-ს ოფისში განთავსებულ დაცვითი ტექნიკური საშუალების მორიგე შემსრულებლის თანამშრომელს და საჭიროებისამებრ 7-დან 8 წუთამდე შემსრულებლის მცველი მიემართება დამკვეთის ობიექტზე და ახდენს ობიექტის დათვალიერებას, მოკვლევას და შესაბამის რეაგირებას.

არასანქცირებულ შეღწევას ან მცდელობას შემსრულებელი დაუყოვნებლივ ატყობინებს დამკვეთს.

მომსახურეობა განხორციელდება დღისა და ღამის მონაკვეთში 24 საათის განმავლობაში (დასვენების დღეების ჩათვლით).

დაცვითი მომსახურების გეგმა შეთანხმებულია დაცვის სამსახურთან შპს "ორბი"-სა და სსიპ - ქალაქ თბილისის 198 საჯარო სკოლასთან

დაცვითი მომსახურების გეგმაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია სსიპ - ქალაქ თბილისის 198 საჯარო სკოლასთან.

შეთანხმებით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

"შემსრულებელი"	**"დამკვეთი"**
შპს "ორბი"	სსიპ - ქალაქ თბილისის 198 საჯარო სკოლა
დირექტორი:	დირექტორი:
- /ზ. კვირიკაშვილი/	_____/თ.ყაჭეიშვილი/

Zurab Kvirikashvili 56001003178

Digitally signed by Zurab Kvirikashvili
Date: 2023.08.02 11:33:18

დაცვითი ტექნიკური საშუალების – სისტემის მონტაჟ – ინსტალაციის მიღება – ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 1 აგვისტო 2023 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი: ,,დამკვეთის" მხარე სსიპ - ქალაქ თბილისის 198 საჯარო სკოლა და ,,შემსრულებლის" მხარე შპს "ორბი"- თანახმად 2023 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული 4507 ხელშეკრულების 6.1 და 10.1 პუნქტების საფუძველზე ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის 198 საჯარო სკოლაში მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, შარტავას ქუჩა N20, შესრულდა დაცვითი ტექნიკური საშუალებით სისტემის მონტაჟი-ინსტალაცია და გადაეცა დამკვეთს დროებით სარგებლობაში წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით და ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ დამკვეთი უბრუნებს ხოლო შემსრულებელი იბარებს დამონტაჟებულ დაცვითი ტექნიკურ აღჭურვილობას.

ა) ,,დამკვეთის" ობიექტზე დამონტაჟებულია "შემსრულებლის" კუთვნილი შემდეგი დაცვითი ტექნიკური საშუალების კომპლექტი:

1 ინფორმაციის გადამცემი ტექნიკური საშუალება

1 სათავსო ყუთი

7 მოძრაობის დეტექტორი

1 კვების ბლოკი

1 აკუმულატორი

1 სირენა

დაცვითი ტექნიკური საშუალების სისტემის მონტაჟი და ინსტალაცია ხორციელდება ზემოაღნიშნული დაცვითი ტექნიკის
მონტაჟის ხელშეკრულების და დაცვის გეგმის შესაბამისად.

ბ) ,,დამკვეთს" 2023 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება 4507 დაცვითი მომსახურების 6.1 მუხლის თანახმად, დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაეცა "ა" პუნქტში ჩამოთვლილი შპს ,,ორბი"-ს კუთვნილი დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მოწყობილობები.

გ) ,,დამკვეთს" განემარტა დაცვითი ტექნიკური საშუალების ექსპლუატაციის წესები.
სისტემის მონტაჟი-ინსტალაცია შესრულებულია ჯეროვნად, ინფორმაციის გადამცემის ტექნიკურ საშულებებს მიენიჭა სახელობითი ნომერი 472 რის შემდეგაც შესაძლებელია ექსპლუატაციაში შეყვანა და ფუნქციონირება დამკვეთისა და შემსრულებლის მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

"შემსრულებელი"	"დამკვეთი"
შპს "ორბი"	სსიპ - ქალაქ თბილისის 198 საჯარო სკოლა
დირექტორი:	დირექტორი:
ზ. კვირიკაშვილი/	_____/თ.ყაჭეიშვილი/

Zurab Kvirikashvili 56001003178

Digitally signed by Zurab Kvirikashvili
Date: 2023.08.02 11:34:28